თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4969824

ნომერი: AR1751509

თარიღი : 01.06.2020

გაცემის თარიღი : 02.06.2020

გაცნობის თარიღი : 02.06.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ჩერქეზიშვილი პ/ნ 01023007754
- თბილისი ქვიშხეთის ქ. კორ. ა ბ. 48

ორგანიზაცია:
- შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი კოდი: 400028849

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 01 ივნისს №AR1751509 განცხადებით მომართა დავით ჩერქეზიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ., №01.72.14.013.102 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ლაბორატორიის და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და საპროექტო ობიექტად ლაბორატორიასთან ერთად ადმინისტრაციული შენობის დაფიქსირებას.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 19 მარტის №AR1741009 განცხადებით მოთხოვნილ იქნა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ., №01.72.14.013.102 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ლაბორატორიის და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება. აღნიშნულ განცხადებაზე სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოდგენილ იქნა შენობა-ნაგებობების განთავსების სქემა, რომელზეც მონიშნული იქნა ორივე საპროექტო ობიექტი. ასევე, საინფორმაციო ბანერი ორივე საპროექტო ობიექტის მითითებით. სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა სამსახურის 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად საპროექტო ობიექტად არასწორად დაფიქსირდა მხოლოდ ლაბორატორია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანებაში, კერძოდ: აღნიშნულ ბრძანებაში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ლაბორატორია და ადმინისტრაციული შენობა.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 01 ივნისის №4960043 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.